ოქმი:**ო37.37210601**
თარიღი:**01/03/2021**

ოქმი N3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის რიგგარეშე საკრებულოს სხდომის

2021 წელი, 26 თებერვალი

ქ. ოზურგეთი

14.00 საათი -14.30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-- საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - გ. ღურჯუმელიძე, მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: ლ. ბიგვავა, ლ. საჯაია, ე. გორდელაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: ტ. აროშიძე, ბ. დოლიძე, ლ. მგელაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ჩხიკვიშვილი, ქ. ვასაძე, ხ. ცერცვაძე, ვ. ჩიგოგიძე, ნ. ორაგველიძე, ვ. ბერიძე, გ. მდინარაძე, ლ. ნინიძე, პ. კიღურაძე, გ. ჩავლეშვილი, მ. ზოიძე, ბ. თოიძე, ალ. ღლონტი, ვლ. ჩავლეშვილი, თ. ტუღუში, ვლ. ღლონტი, ლ. სიჭინავა.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე - 46 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 25 - მა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 25-ხმით.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს გაუქმების შესახებ“- ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

საკრებულომ არსებული კანონმდებლობის შესახებ ინფორმაცია მიიღო ცნობად.

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია “ქართული ოცნება-ძლიერი თვითმმართველობისათვის“ რეგისტრაციის შესახებ“-

ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

საკრებულომ არსებული კანონმდებლობის შესახებ ინფორმაცია მიიღო ცნობად.

2.3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: ლაშა თავაძე

გიორგი ჩაგანავა

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 25 - ხმით

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის დახურვის შემდეგ განცხადება ქვეყანაში არსებული სიტუაციის შესახებ გააკეთა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრტიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ ტ. აროშიძემ, განაცხადა, რომ რადიკალური ოპოზიცია გეგმავდა სახელმწიფო ინსტიტუტების ნგრევასა და ქვეყანაში არეულობის შეტანას, ოპოზიციური პარტიებიდან არჩეული წევრები არ ღებულობენ პარლამენტის მუშაობაში მონაწილეობას, აწყობენ ქუჩის აქციებს. ასევე მიუღებელია პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის ნ. მელიას საქციელიც, კანონს ყველამ პატივი უნდა სცეს და დაემორჩილოს, იმედი გამოთქვა, რომ მმართველი პარტია შესძლებს ქვეყნის რთული ვითარებიდან გამოყვანას.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი